№ 195 | 28 ენკენისთვე, ხუთშაბათი | 1866—1878 | 28 ენკენისთვე, ხუთშაბათი | № 195

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაღოვის სახლებში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: [illegible] წლისა—8 მან., ნ. ხევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს [illegible]

ფასი განცხადებისა: [illegible] ებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ, პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდით გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

პირველი ენკენისთვიდამ ამ მდგომარე წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს ს ა მ მანეთად

პირველი ღვინობისთვიდამ წლის დამლევამდინ—ო რ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაღოვის სახლებში, № 8.

ქ ა ლ ა ქ ს გ ა რ ე შ ე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: ***Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.***

საქართველო

ტრაპიზონში გადასახლებულ ქობულეთლების მდგომარეობა

ერთს ინგლისურს საწრმუნო გაზეთში („Manchester Guardian“) დაბეჭდილია ქვემო-მოყვანილი ამბავი, რომელსაც ამ გაზეთში ტრაპიზონიდამ იწერებიან.

ამ კორრესპონდენციის წაკითხვა განსაკუთრებით საინტერესო და საჭიროა იმ ოსმალოს ქართველებისათვის, რომელნიც თავიანთ მიწა-წყალს, სახლ-კარს, თავიანთ სამშობლო ქვეყანას სტოვებენ და მიდიან ოსმალეთში იმ იმედით, რომ იქ უკეთ ვიცხოვრებთო.

წაიკითხონ ეს ამბავი იმ ქობულეთლებმა და საზოგადოთ ოსმალოს ქართველებმა, რომელნიც ოსმალეთში გადასახლებას აპირებენ და როდესაც დაინახვენ—თუ რა მდგომარეობაში არიან იმათი გადასახლებული მოძმეები, მაშინ, იმედია, დაფიქრდებიან და შეჩერდებიან.

აი ეს კორრესპონდენცია:

„... როდესაც რუსეთმა გამოუცხადა ოსმალეთის მმართებლობას, რომ, სანამ ბათუმს არ დაუთმობენ, მანამ ის სტამბოლს არ მოაცილებს თავის ჯარებს, მაშინ კი ოსმალეთმა გადაწყვიტა ბათუმის დათმობა...

„დერვიშ-ფაშამ გამოუცხადა ბათუმის, აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებლებს, რომ ვისაც ჰსურს, შეუძლიან გადასახლება. და ამ განზრახვით და აგრეთვე ჯარებისა და სამხედრო მასალების წასაღებად ბათუმში მოვიდა ოსმალოს რამდენიმე ხომალდი.

„ხალხი ძალიან გაბრაზდა, როდესაც ეს ამბავი გაიგო, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალოს ჯარები დაეხმარებოდნენ იმათ რუსების წინააღმდეგ. მაგრამ ბოლოს ისინი დაემორჩილნენ თავიანთ ბედს და გადაწყვიტეს ისევ ოსმალეთში გადასვლა.

„ჩურუქ-სუს მცხოვრებლებმა პირველად დაიწყეს გადასახლება. ამჟამად სულ ოთხი ათას სულამდინ არიან ბათუმიდამ აქ, ტრაპიზონში მოსულნი და დროებით დაბინავდნენ აქაურს ხანებში.

„ამბობენ, კიდევ ბევრი აპირებენ გადმოსახლებასაო.

„ამ გადმოსული ხალხის დასასახლებლად ოსმალეთის მთავრობამ დანიშნა ადგილები მალაციის მახლობლად, სადაც 10,000 კაცის დასახლება შეიძლება. მაგრამ, რადგან ოსმალეთის მთავრობამ ამაზე მეტი არავითარი მზრუნველობა არ გამოიჩინა და სხვა არაფერი შემწეობა არ მისცა გადმოსახლებლებს, ამის გამო შემდეგში ამათ ისეთივე ბედი მოელისთ, როგორი ბედიც მოუვიდათ აბხაზებს.

„გადმოსული ქობულეთლები ახლაც ძალიან სჩივიან და ემდურიან ოსმალეთის მმართებლობას. ბუშინ დიდი გროვა გადმოსახლებულები მივიდნენ აქაურ ლუბერნატორთან და სთხოვეს, სადგომი და ლუკმა-პური მაინც გაგვიჩინეთო; დერვიშ-ფაშამ დაგვპირდა ჩვენაო, რომ, ოღონდ გადასახლდით და ტრაპიზონში თითო სულს დღეში ნახევარი ოყა პური გექნებათო.

„მომეტებული ამათგანი მშიერ-მწყურვალენი ყრიან ამ ჟამად ქუჩებში. თავშესაფარავი და ლუკმა-პურიც არა აქვთ. ზოგი კი ჯამებში (მეჩითებში) და ხანებში დგანან. ამას გარდა რამდენიმე ასი კაცი დგას ხის კარვებში, რომლებშიაც ადრე ლოშპიტლები იყო გამართული.

„აი ამით გაათავა ოსმალოს მთავრობამ თავის მზრუნველობა ამ გადმოსახლებულებისათვის.

„რამდენიმე კაცისაგან გავიგონე, რომ ჩვენს ნაცნობებსა და ნათესავებს უნდა შევატყობინოთ ბათუმში და ქობულეთში, რომ არ წამოვიდნენ აქეთკენ. ზოგიერთებმა მითხრეს, რომ უკან დაბრუნებასაც აპირებენ, რადგან ერთობ დიდ გაჭირებაში და წვალებაში არიან..“

ქართული წარმოდგენა

თფილისის ნემეცების კლუბში, 25 სექტემბერს.

გასულ ორშაბათს ქართული სცენის მოყვარეთა წარმოადგინეს ნემეცების კლუბის ზალაში: „ჯ ე რ დ ა ი ხ ო ც ნ ე ნ, მ ე რ ე დ ა ქ ო რ წ ი ლ დ ნ ე ნ“—თ. რაფ. ერისთავის ორ-მოქმედებიანი ვოდევილი და „ც ო ლ ი თ უ გ ი ნ დ ა ე ს ა რ ი ს“! თ. ვას. აბაშიძის ერთ-მოქმედებიანი ვოდევილივე.

რამდენათაც სცენის მოყვარეთა შეეფერებათ, ცუდათ არ ითამაშეს, განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, უფ. შიშნიაშვილს, აბაშიძესა და მაჩაბელს გარდა, რომელნიც არაერთხელ უნახავს ჩვენს საზოგადოებას სცენაზე, ყველა დანარჩენი მოთამაშეები ახალი პირები იყვნენ.

ამ ახალ მოთამაშეებში, უფ. ს. ალმუროვს და ე. ალმუროვისას უეჭველად შეუძლიანთ თამაში, კარგათაც ითამაშებენ, თუ თავიდამვე არ მოიძულებენ ქართულ სცენას და ხშირად გამოვლენ.

მართალია, ახლობა ორთავეს ეტყობოდა, მაგრამ უფ. ს. ალმუროვმა მაინც ურიგოთ არ წარმოადგინა პირველში მოხუცებული სომხის როლი და მეორემ ახალგაზდა გასათხოვარი ქალისა. ორი წვრიმალი ნაკლულევანება შევნიშნეთ ჩვენ უფ. ს. ალმუროვს: ერთი რომ დათუნასავით ირხეოდა მუდამ სცენაზე და მეორეც ის, რომ სიტყვების გამოთქმა ხშირად მოხუცებულის კაცისა არა ჰქონდა. ვ. მერკულოვისა შესანიშნავათ კარგათ თამაშობდა დედის როლს თ. რაფ. ერისთვის პიესაში; განსაკუთრებით კარგათ წავიდა ის სცენა, როდესაც სასძლოს დედა და საქმროს მამა ერთმანეთს შესტირებენ ერთმანეთის შვილების ვითომ-სიკვდილს.

თ. ვას. აბაშიძის პიესის თამაში ცოცხლად წავიდა, ბევრი იცინა საზოგადოებამ, თუმცა თვითონ ავტორი (ადვოკატის როლში) ისე კარგი არ იყო, როგორც იმის ნიჭისაგან მოველოდით და ვერც ვ. მერკულოვისა თამაშობდა რიგიანათ, ერთობ ბევრს იგრიხებოდა. ე. ალმუროვისა გოგოს როლს ლამაზად თამაშობდა; საზოგადოთ გასათხოვარ ქალისა და გოგოს როლს (და არა ანჩხლი ქალისა ან დრამატიულს როლს) ალმუროვისა, უეჭველია, კარგათ აასრულებს. მაგრამ როგორც ამას, აგრეთვე იმის ძმასაც რიგიანი რეჟისსორი ეჭირებათ

საუბედუროთ, ჩვენს მოთამაშეებს თითქმის არასოდეს არა ჰყავთ რეჟისორი, გზის მაჩვენებელი; ყველა ისე თამაშობს, როგორც მოუვათ, როგორც იციან. ამის გამო მოთამაშეებს ხშირად თავის შესაფერი როლები არა აქვთ და ზოგს კიდეც აქვთ თავის როლი, მაგრამ ხელმძღვანელი რომ არა ჰყავთ, რიგიანათ ვერ ასრულებენ.

უკაცრავად ავტორებთან და მართალი უნდა ვსთქვათ, რომ ორივე პიესა სწორეთ სრულიად უაზრო და უმნიშვნელო პიესაა. თვით ვოდევილშიაც რამე ჰაზრი და მოქმედება უნდა იყოს; ცარიელი სასაცილო სიტყვები არ კმარა, მდგომარეობა უნდა იყოს მოქმედი პირებისა სასაცილო.

დროა მივატოვოთ წერა და წარმოდგენა თ. ზ. ერისთვისებური პიესებისა, რომლების დედა-ჰაზრი და დედა-მოქმედება არის მხოლოთ იმერლების და სომხების ლაპარაკის უშნო წაბაძვა და უაზრო დაცინება.

ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება ამ წარმოდგენაზე ქართული სახალხო სიმღერების ხორმა მოახდინა, რომელიც უფ. მაჭავარიანის შემწეობით შედგენილის ნოტებით მღეროდა. იმღერეს: „თამარ მეფე და ხონთქარი,“ „ავთანდილ გადინადირა“ და „ქურდღელი ჩამოცანცალდა“. ამ უკანასკნელმა მაინც საზოგადოება ალტაცებაში მოიყვანა, სამჯერ გაამეორებინეს, რამდენჯერმე გამოიხმეს უფ. ბერიძე (მოძახილი), უ. მაჭავარიანი და მთელი ხორი.

საზოგადოება ბლომათ იყო ამ წარმოდგენაზე: ეს შენიშნულია, რომ ყოველ ქართულ წარმოდგენაზე იმდენი მოდის ხალხი, სადაც უნდა წარმოადგინონ და რაც უნდა ითამაშონ, რომ ხარჯს გარდა ცოტაოდენი მაინც შემოსავალი კიდევ რჩება.

ს. მ.

დღიური

** ჩვენ შევიტყეთ რომ თვითონ ქალაქს ბათუმში დაინიშნება ცალკე მომრიგებელი მოსამართლე, რომელიც ქუთაისის ოლქის სასამართლოს ექვემდებარება. დანარჩენს მაზრებში ახალშეძენილ მხრისა კი, როგორც ისმის, მოსამართლის ადგილს დაიჭერენ ყადები ანუ მოსამართლეები, რომელნიც რუსის კანონებს გარდა, ადგილობრივი ადათითაც იხელმძღვანელებენ.

** ბათუმიდამვე გვატყობინებენ, რომ, თ. გრ. გურიელის განკარგულებით, სოფლებში ყარაულობა და დაცვა იმ ადგილებისა, განსაკუთრებით გზებისა, საცა უფრო შიშია, მინდობილი აქვს ქობულეთლებისაგან არჩეულ პირებს, რომელნიც თავის სურვილით გამოსულან და რომელთაც თვეში თვრამეტი მანეთი ჯამაგირი ეძლევათო.

ამბობენ, რომ საკუთრივ ქობულეთის მაზრის უფროსად დანიშნული არის მაიორი თ. კოწია ერისთავი, რომელსაც კაი კაცს აქებენ.

** ტელეგრაფის დეპარტამენტი აცხადებს, რომ ამ ოქტომბრის პირველი რიცხვიდამ ოც სიტყვიანი დეპეშის გაგზავნა რუსეთში ეღირება ათ შაურათ, თუ ეს დეპეშა ორას ვერსზე უშორესს არ იქნება გასაგზავნი.

** გაზეთს „ობზორს“ გაუგონია, რომ ვაჭრების უსტაბაშად ამოურჩევიათ უფ. თ. ა. პეპინოვი.

„დროების“ კორრესპონდენცია

არტაანი, 16 სექტემბერს. დღევანდელს დღეს, როგორც მოგეხსენებათ, მაჰმადიანების დიდი ბაირამი გახლდათ. ტფილისში, რამოდენათაც მახსოვს, ამ დღეს მაჰმადიანები ჩირაღდნებით, შუშხუნებით, ზურნა-დაფით და სხვა მხიარულებით, მიეგებებოდნენ ხოლმე.

აქ კი სრულებით ამის წინააღმდეგი მოვლინება შევნიშნე: აქაური თათრები ჩვეულებრივზე უფრო მოწყენილები იყვნენ დღეს; არამცთუ ჩირაღდნები და სხვა-და-სხვა თამაში, რომელიც ამ გვარ დღესასწაულებში თითქმის ყველა ხალხმა იცის, არამედ ჩამიჩუმიც არსად იყო და უცოდინარ კაცს ფიქრათაც არ მოუვიდოდა—თუ დღეს ამისთანა დიდი დღესასწაულია. . . . .

აქაური მცხოვრებლები განსაკუთრებით გაბრაზებულნი არიან ახალციხელ ვაჭრებზე, რომელზედაც რამდენთამე გავლენიან პირებმა, როგორც მიანბეს, იჩივლეს კიდეც უფ. მაზრის თანმდებობის აღმასრულებელთან—ან ისენი დაკარგეთ და ან ჩვენო; ჩვენ ერთი კაცი აღარ დავრჩებით აქაო, სულ გადავსახლდებით საითმეო.

მე სწორეთ არ ვიცი და, თუ ეს საჩივარი მართალია, იმედი გვაქვს უფ. ჭახჭუხევის გონიერების და სანიდისისა, რომ ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და საქმეს უწესობამდინ არ მიიყვანს. ამათი საჩივარი ამ ვაჭრებზე იმაში მდგომარეობს, რომ ამათი შიშით ქუჩებში ვერ გაგვივლია, მაშინვე სარწმუნოებას, წვერს, პირს ერთმანეთში აგვირევენ და ვინ იცის რა უპატიურობას მოგვაყენებენო. ისეთი გაფუჭებული და გარყვნილები არიან, რომ ამათი შიშით ბავშვებიც კი გარეთ ვერ გაგვიტარებიაო. ჩვენ მაგათი სრულებით არ გვეშინიან, ისე არ დავცემულვართ, იმდენი ძალა კიდევ არის ჩვენში, რომ მაგათ პასუხი მივცეთო; მაგრამ, რადგანაც ახალი დაპყრობილი ვართ, არ გვინდა ვაფიქრებინოთ ვისმე რამე ჩვენზე და ან უმაღლესი მთავრობა შევაწუხოთო.

— მოთმინების მეტი არა გვმართებს-რაო რა ვქნათ, ვის მივმართოთ, ვისთან ვიჩივლოთ, შეწუხება არ გვინდა და აქ პოლიციის უფროსად (გოროდნიჩად) ისეთი ვიღაც დაუყენებიათო რომ ერთის მხრივ არამცთუ ვიჩივლოთ, ამასთან ლაპარაკიც კი სათაკილოაო და მეორეს მხრივ კიდეც რო ვიჩივლოთ რა იქნება—ის, უეჭველია, თავის მოძმეებს უპირატესობას მისცემს ჩვენს წინაო!

დიდი და პატარა სულ ასე სჩივის და სასურველი იქნება, რომ, ვისაც რიგია, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას; თუ საფუძვლიანია, დააკმაყოფილოს ამათი საჩივარი და ის არ აფიქრებინოს ყველას ჩვენზე, რასაც ჩვენ ვწამებდით თათრებს და ერთი დავიდარაბა გაგვქონდა..

არტაანის ახლო-მახლო სოფლებშიაც ძალიან უჩივიან ყაზახებს, რომლებსაც ოსებს ეძახიან: მოდიან თავისუფლად და მიაქვსთ აშკარათ თივა და რაც მოხვდებათო და როგორ შევიძლიან ხმა გავცეთ, წაგვისხმენ კისერში და ერთ ვაი-ვაგლახს დაგვახწევენო...

ახალი ამბავი აქ ჯერ-ჯერობით არა არის-რა. ჯარები, პიატიგორსკის პოლკის ორი ბატალიონისა გარდა და ყაზახის ლაბინსკი პოლკის რამოდენიმე სოტნის გარდა, სულ გავიდნენ აქედამ და ამ შემთხვევამ აქაური ვაჭრები ძალიან დაალონა, რადგანაც მეტისმეტათ მოაკლდათ ვაჭრობა. უფრო მსუქანი ვაჭრები ბათუმისკენ იწევენ და წვრილი ვაჭრები, ჩვენდა სასიამოვნოდ და თავიანთ სამწუხაროდ, იძულებულნი არიან ნელ-ნელა გაიაფონ ყველაფერი, რადგანაც ცოტა მყიდველები-ღა დავრჩით აქა.

ჭია-ჭამია

უცხო ქვეყნები

ინგლისი

თითქმის გადაწყვეტილი აქვს ახლა ინგლისს, რომ ავღანისტანს ომი გამოუცხადოს, თუ ემირმა ბოდიში არ მოსთხოვა და ან სხვაგვარად არ დააკმაყოფილა ის შეურაცხყოფისათვის. ინგლისში და ინგლისის ინდოეთში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ამ ქვეყნების გაზეთებში იწერებიან, გაცხარებული მოძრაობა და მზადება არის თურმე მომავალ ომისათვის.

მაგრამ ჯერ გარდაწყვეტილი არ აქვთ— ახლავე ამ ზამთრამდინვე უნდა დაიწყონ ომი და გაგზავნონ ავგანისტანში ჯარები, თუ გაზაფხულამდინ მოიცადონ. მომეტებული ნაწილის ჰაზრი ეს არის, რომ ამ ზამთარში მხოლოთ ჯარები დაამზადონ, მოიმზრონ ავგანისტანის მოსამზღვრე ხალხები და გაზაფხულზე კი, თუ მანამ ემირმა არ დააკმაყოფილა, ომი დაიწყონ.

ამ უკმაყოფილებას ავგანისტანთან ინგლისი რუსეთს აბრალებს. რუსეთმა ჩააგონა ავგანისტანის ემირი, რომ ინგლისის ელჩებისათვის არ მიეცა უფლება ავგანისტანის ქალაქებში ცხოვრებისა და არ მეეშვა ეს ელჩები ქაბულშიო.

ამის გამო ზოგიერთები დარწმუნებით ამბობენ, რომ ადვილად შესაძლებელია, რუსეთსა და ინგლისს შუაც ერთი რამ უკმაყოფილება და იქნება, ომიც მოხდესო.

— სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ინგლისს წაუყვანია თავის სამხედრო ფლოტი პრინცის კუნძულებიდამ და დროებით დაუყენებია არტაკთან სტამბოლიდამ თითქმის ასს მილზე. ხონთქარს ოსმან-ფაშა გაუგზავნია ინგლისის ელჩთან ლეიარდთან და ამ ფლოტის სტამბოლიდამ მოშორებისათვის მადლობა შეუთვლია.

— ინგლისურს გაზეთებში დაბეჭდილია მუხლები იმ რეფორმების პროექტისა, რომლის შემოღებასაც თხოულობს ინგლისი მცირე აზიაში. უმთავრესი მუხლები ამ პროექტისა არიან შემდეგი: მცირე აზიაში უნდა იქნეს სხვა სახელმწიფოებისაგან დანიშნული პოლიცია; მოსამართლეების დანიშნვა და გამოცვლა ინგლისზედ უნდა იყვეს დამოკიდებული; ჯარი (მილიცია) ადგილობრივივე ხალხისაგან უნდა გამოიყვანონ; ღუბერნატორად უნდა დაინიშნოს სომეხი.

— ამბობენ, რომ ინგლისი ტრაპიზონის დათმობას სთხოვს ოსმალეთსაო.

ოსმალეთი

სტამბოლის ერთს გაზეთში იწერებიან, მცირე აზიის მთავარ-მართებელად ოსმალეთი მითხად-ფაშას ნიშნავსო.

— ამავე გაზეთის სიტყვით, ადრინდელი ბათუმის ჯარების უფროსი დერვიშ-ფაშა ინიშნება ყველა იმ ჯარების უფროსად, რომელნიც მცირე აზიაში ეყოლება ოსმალეთს და რომლის უმთავრესი კვარტისა ამ ჟამად ერზინგიანშია.

— ალბანიის აჯანყებულებს (ლიგას) ამას წინათ დეპუტაცია გაუგზავნიათ ხონთქრისთვის და უთხოვნიათ, რომ სკუტარის, კასოვისა და იანინის მაზრები შეაერთოს და ამათი გამგეობა მიანდოს ალბანიელს ღუბერნატორს; ჯარებიც ალბანიელი მილიციონერებისაგან იყოს შემდგარიო.

— ერთი რომელიღაც ელჩისათვის შემდეგი სიტყვები უთქვამს ამას წინათ ხონთქარს აბდულ-ჰამიდს:

„ავსტრია და ჩერნოგორია დარწმუნებული არიან, რომ ჩვენ ვაქეზებთ ბოსნიელებსა და ალბანიელებს და ურჩევთ იმათ, რომ არ დაემორჩილონ ბერლინის კონგრესსის გარდაწყვეტილებას. ეს სრულიად უსაფუძვლო ცილისწამებაა. დასამტკიცებელად მომყამს ის ფაქტი, რომ ამას წინათ ალბანიელებმა გამომიგზავნეს თავიანთი დეპუტატი და დახმარება მთხოვეს; მაგრამ დახმარების მაგიერ მე დავაჭერინე ეს დეპუტატი და დღესაც სტამბოლში მყავს დამწყვდეული“.

რუსეთი

პეტერბურღის გაზეთები გვაცნობებენ რომ ამ დღეებში ჩვენმა მთავრობამ გაგზავნა რუმინიაში რამოდენიმე ჩინოვნიკი, რომელთაც უნდა ჩაიბარონ ამ სახელმწიფოსაგან ის ნაწილი ბესსარაბიის, რომელიც ბერლინის კონგრესსმა რუსეთს არგუნაო.

— ოდესსის გაზეთს „პრავდაში“ იწერებიან, რომ ძუთაისის ადრინდელი ღუბერნატორი გრაფი ლევაშოვი უკვე დათხოვნილია ოდესსის გრადონაჩალნიკობიდამ და, როგორც ისმის, ამ თანამდებობას ახლა ადრინდელ ოდესსის თავს უფ. ნოვოსელსკის აძლევენო.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 24 სექტემბერს. სტამბოლიდამ მოვიდა აქ ამბავი, რომ ხონთქარმა დარწმუნებით უთხრა ლეიარდსო, რომ ინგლისისაგან შემოტანილ მცირე აზიის რეფორმების პროექტს ოსმალეთი მიიღებსო.

სტამბოლი, 23 სექტემბერს. ლეიარდი არტაკში წავიდა, საცა ინგლისის ფლოტი დგას ახლა.

პეშტი, 23 სექტემბერს. ავსტრიის იმპერატორი ფრანც იოსიფი დათანხმდა, რომ ვენგრიის მინისტრები დაითხოვოს სამსახურიდამ; მაგრამ სანამ ახალი მინისტრები არ იქნებიან დანიშნულნი-მანამ ისევ ამათ უნდა აასრულონ თავიანთი თანამდებობა.

სი ლა, 25 სექტემბერს. ინდოეთის გაზეთებში იწერებიან, რომ ინგლისის ჯარებმა ქალაქი ალიმუსვიდი დაიჭირესო.

დღეს იქნება გაზეთებში დაბეჭდილი პროკლამაცია, რომელშიაც საინგლისო ინდოეთის მმართებლობა გამოაცხადებს თავის განზრახვას.

ავგანისტანის ემირმა თავის მოსაზღვრე ხალხების წარმომადგენლები მოიხმო მოსალაპარაკებლად. ამბობენ, რომ ყველა მოსაზღვრე ხალხები გზავნია დელეგატებსაო.

პეტერბურღის ბირჟა, 26 სექტემბერს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	96—	50
მეორესი — — — —	95—	75
მესამესი — — — —	95—	62
მეოთხესი — — — —	95—	75
აღმოსავლეთის — —	92—	75
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—	17

თფილ. თავად-აზნ. ბანკის
გირაოს ფურცელი— — „— „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	232—	„
მეორე სესხის — — —	228—	„

1 მანეთი ღირს:

ლონდონი—	— 24—	8	პენსი
ამსტერდამი—	—123—	24	ცენტი
ბერლინი— —	—205—	50	პფენიგი
პარიჟი — —	—251—	„	სანტიმი

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გაგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 18 ოქტომბერს იმის თანდასწრებით იქნება დანიშნული ვაჭრობა (ტორგი) (მარტო ერთხელ) მტკვრის ორი პარომის იჯარით მიცემაზედ მნაცაკანის ხიდთან. ვადა იჯარისა არის სამი წელიწადი.

(2—2)

ფოჩტის გამგეობა აცხადებს, რომ გასული 16 აგვისტოდამ დაწყებული ახალ-სენაკსა და ზუგდიდს შუა მუდამ დღე ფოჩტის ომნიბუსები დაიარება. ახალ-სენაკიდამ მუდამ დღე დილის 8 საათიდამ გადის ომნიბუსი და 1 საათზე და 45 მინუტზე ზუგდიდში მიდის; ზუგდიდიდამ კი გამოდის ნაშუადღევის 2 საათზე და ახალ-სენაკში საღამოს 7 საათზე და 30 მინუტზე შემოდის.

ამ წლის 1 ოქტომბრიდამ შემდეგ ქალაქებში თფილისიდამ გასაგზავნ დეპეშებში—20 სიტყვაში—გადახდება, 1 მანეთის მაგიერად, 50 კაპეიკი: თფილისიდამ: აბაზ-თუმანში, ალექსანდრაპოლში, ახალციხეში, ბორჯომში, ვლადიკავკაზში, ზროზნაში, ელისავეტპოლში, ეფრემოვკაში, ზაქათალაში, ყარსში, ქედაბეგში, ძუთაისში, ნუხაში, ჩახატაურში, ხასავ-იურტში, ერევანში, ეჩმიაძინში, აჯამეთში, ბეჟათუბანში, ბელაგორში, ძარულაში, ფონში და მორალისში.

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში ვართანოვის, ჩარკვიანის და სხვათა წიგნის მაღაზიებში.

ლედანი

შედგენილი და გამოცემული პ. ტ. უჩაკაშვილისაგან

ფასი სამი კაპეიკი

მოთხრობა თავადი სწერის ქალიდან. შეიცავს 5 საკრებულს: 1, ანბანის ლედანი მგრგვალის ხელით; 2 მაგრამ წიგნიდან გადმოწერისათვის ლედანი მგრგვალის ხელით; 3 ანბანის ლედანი ნუ ხურის ხელით და 4 ლედანი (იგივე ნუ ხურის მაგალითი) გადმოწერისათვის ნუ ხურის ხელით. ბოლოს 5 ნაწერი ფრის მაგალითები—რა უნდა ერდეს საფუძველით ებმის ასოების ერთმანეთს გამბმული ხელით წერაში.

აგრეთვე ისყიდება მისივე გამოცემა წიგნი სიბრძნე სიცრუისა თხზულება საბა ორბელიანისა. ფასი ათი შაური

თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსები. სქელ ქაღალდზე. ფასი ერთი მანეთი.

გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

„ნინო“

მოთხრობა თავადი რაფიელ ერისთვისა.

ფასი 15 კაპეიკი.

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკითებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში,

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა

ქ. ქუთაისში

„წიგნის მაღაზია“

ადაც ისყიდება ყოველ-გვარი სახელმძღვანელო წიგნი (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა „მაღაზიაში“ ისყიდება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და ქართულს ენაზე.

ამავე მაღაზიაში იმყოფება ქუთაისის განყოფილება ქავკაზის სამასწავლებლო უწყების კომმისსიონერის უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიისა.

მაღაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებში, ქლუბის ქვემოთ.

ისყიდება პარტიითა და თითო კულითაცა

თამბაქო,

მახორკა, ნაკლებ ფასათ.

ადრესსი: ბალერეი არწრუნიაა, № 146.

ივანე ალხაზოვი.

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და მეორეს სასულიერო სასწავლებელში, უფ. სანციევთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძესი, ივანე აერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისა

ფასი ორი შაური.

გამოვიდა და ისყიდეაა

მეექვსე კარი „ყარამანიანისა“

ქ. თფილისში, მიხაილოვის ხიდზე, მირზოევის შენობაში, მხოლოდ ს. არტ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 40 კოპ.

მსურველს შეუძლიან მიიღოს ამ წიგნის მაღაზიაში I, II, III, IV და V კარი „ყარამანიანისა“.

იბეჭდება და მომავალ თვეში გამოვა მეშვიდე კარი „ყარამანიანისა“.

(3—3)

მიხელსოლნის სტამბაში,

რომელიც იმყოფება ზალასინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში მიღებულია ყოველ ნაირი

ახალი ქართული შრიფტი,

ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორ. . . .	11	5.	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სუომა. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	5.			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონ. . . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სუომა . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორ. . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილ სი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან.	კაპ.
ო�იტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს . .	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ., შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქაზეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ერთ წიგნა	4
ბეჭდილ (ბეჭდი მისხალი) .	8

მაზანდა	მან.	კაპ.
თფილისი, 21 სექტემბ		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	70
ფქვილი წითელი . . .	1	50
ქერი ფუთი	1	25
ბამბა ერეკლისა, ფუთი .	7	20
— ამერიკაია, ფუთი . .	7	60
ბაპენტინი ბამბა ფუთი.	10	—
ბატკანი თუშური ფუთი	8	50
— მარაქამ. სა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონ., ფუთი	6	50
ქონი სანთლი ფუთი .	8	40
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	6	20
ყავა გრგვლი, გრვ. .	—	70
ჩაი ქუნჯუთისა ფუთი	14	—
თამბაქო, ს ბულ. ფთ.	7	50

თფილისის სამკურნალო	
ერევნ ს მეიდანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.	
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილ ს 9 საათიდამ 1-მდინ.	
ორ შაბათს: ვერმიშევი და ბარალეიჩ—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საგარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.	
სამშაბათს: ვერმიშევი—შინ.გ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალ.ს.	
ოთხშაბათი: ვერმიშევი შინ.განი.	
ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინ.გ., ქიუჩარიანც—ოფილიტიკური და საშარდე ორგანების.	
პარასკევს: ვერმიშევი-შ.ნ.გ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალია და ბავშვებ.ს.	
შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალ.ს.	

Дозволено цензурою. Тифлисъ 27 Сентября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი